საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №41
2015 წლის 24 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებით დამტკიცებულ „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე ვადგენთ:

მუხლი 1

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის #20 დადგენილებაში (სსმ III, 22.09.2008 წ., №140, მუხლი 1385) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“

ა) მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. განაწილების ლიცენზიატმა და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურმა მომხმარებლის განცხადებას დასაბუთებული წერილობითი პასუხი უნდა გასცეს განცხადების მიღებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა.“

ბ) მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დეპოზიტი არ უნდა იყოს ამ მომხმარებლის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საშუალო თვიურ თანხაზე მეტი (სეზონურობის გათვალისწინებით), ხოლო აბონენტის დროებით სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების მისამართზე რეგისტრაციის შემთხვევაში - ამ აბონენტის მიერ პირველ საანგარიშო პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგიის ოდენობაზე მეტი (ამ მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული დეპოზიტის გაანგარიშების პერიოდის დადგომამდე). მომხმარებლისაგან დეპოზიტზე თანხის შეტანის განმეორებით მოთხოვნა დაუშვებელია, თუ ამ მომხმარებლის მიერ დეპოზიტზე შეტანილი თანხა განაწილების ლიცენზიატის მიერ არ იქნა მიმართული მათ შორის წარმოქმნილი ვალდებულების დასაკმაყოფილებლად ან დაბრუნებული ამ წესების მოთხოვნების შესაბამისად.“

გ) 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შედეგი სახით:

„ა. თუ ობიექტის (სადაც მოხდა აბონენტის გაყოფა) არსებული სიმძლავრე საკმარისია ორივე მომხმარებლის სათანადო ელექტროენერგიით უზრუნველყოფისთვის, განაწილების ლიცენზიატი უზრუნველყოფს მხოლოდ აღრიცხვის კვანძის მოწყობას დანართი #6-ით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო გამოყოფილი ქონების მესაკუთრე ვალდებულია გადაიხადოს დანართი #6-ით განსაზღვრული აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასური;“

დ) 26-ე მუხლის მე-10 პუნქტის:

დ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) იმ ტერიტორიულ საზღვრებში, სადაც ახორციელებს ელექტროენერგიის განაწილების საქმიანობას:

ა.ა) 0,4 კვ. ძაბვის ახალი მომხმარებლის შემთხვევაში არსებული გამანაწილებელი ქსელიდან (6/10 კვ და 0.4

კვ) – 800 მ-ის რადიუსში;

ა.ბ) 6/10 კვ. ძაბვის ახალი მომხმარებლის შემთხვევაში არსებული გამანაწილებელი ქსელიდან 6 კმ-ის რადიუსში.";

დ.ბ) „ბ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

ე) 26^1 მუხლის:

ე.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მიერთების მსურველი (განმცხადებელი) ვალდებულია, განაცხადის წარდგენამდე გადაიხადოს განაცხადში ასახული გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის 50% (გარდა ამ მუხლის 2^1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), ხოლო დარჩენილი თანხა გადაიხადოს (თუ მხარეები წერილობით არ შეთანხმდნენ სხვა პირობებზე), ელექტროენერგიით მომარაგების დაწყების თარიღიდან:

ა) საყოფაცხოვრებო მომხმარებელმა – 20 დღის განმავლობაში;

ბ) არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელმა – 10 დღის განმავლობაში."

ე.ბ) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასური განისაზღვრება დანართი #6-ით განსაზღვრული შეთავაზებული პაკეტების მიხედვით და მას წინასწარ ანაზღაურებს ახალი მომხმარებელი."

2. დადგენილების მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნეს დანართი #5.

3. დადგენილების მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე" ქვეპუნქტი:

„ე. „აღრიცხვის კვანძის მოწყობის ვადები და საფასური" (დანართი #6)".

დანართი #6

აღრიცხვის კვანძის მოწყობის ვადები და საფასური

ძაბვის საფეხური, კვ	სიმძლავრე, კვტ	აღრიცხვის კვანძის მოწყობის ვადა (სამუშაო დღე)	აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასური დღგ-ს ჩათვლით ლარი
0,220	1-10	5	100
	1-10	10	300
	10 დან -30	10	350
	30 დან-50	10	600

0,380	50 დან -80	10	650
	80 დან - 100	15	700
	100 დან-120	15	750
	120 დან -200	15	800
	200 დან -320	15	950
	320 დან -500	15	1200
	500 დან -800	20	1500
	800 დან -1000	20	2200
	1000 ≤	20	3000
6/10	1-500	15	7000
	500 დან -1000	20	7500
	1000 ≤	20	8000

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	**ირინა მილორავა**
კომისიის წევრი	**გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი	**გოჩა შონია**